



მე-15 განყოფილება
ინვესტიციები ერთობლივ
საქმიანობაში

განსახილველი საკითხები

- ერთობლივი საქმიანობის განმარტება
- ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა
- ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები
- ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
- განმარტებითი შენიშვნები
- შედარება სრულ ფასს-თან

ერთობლივი საქმიანობის განმარტება

- ერთობლივი კონტროლი - ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლი ეკონომიკურ საქმიანობაზე (სტრატეგიული ფინანსური და სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღება საქიროებს მხარეთა ერთსულოვან თანხმობას).

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა

- ერთობლივი საქმიანობა სრულუფლებიანი მონაწილეების აქტივებისა და სხვა რესურსების გამოყენებას გულისხმობს და არა ცალკე ეკონომიკური სუბიექტის დაფუძნებას.
- თითოეული სრულუფლებიანი მონაწილე საწარმო იყენებს თავის ძირითად საშუალებებს და გააჩნია საკუთარი მარაგი; ეწევა საკუთარ ხარჯებს, იღებს გარკვეულ ვალდებულებებს და თვითონ მოიპოვებს საკუთარ ფინანსურ სახსრებს.
- ერთობლივი საქმიანობის სახელშეკრულებო შეთანხმება, როგორც წესი, ითვალისწინებს ერთობლივი პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული ამონაგებისა და ერთობლივად გაწეული ხარჯების განაწილების წესს.

სრულუფლებიანმა მონაწილემ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- (ა) აქტივები, რომლებსაც ის აკონტროლებს და ვალდებულებები, რომლებსაც თვითონ იღებს; და
- (ბ) გაწეული საკუთარი ხარჯები და თავისი წილი ერთობლივი საქმიანობის საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალში.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები

გულისხმობს აქტივზე ერთობლივ კონტროლს და ხშირად ასევე ამ აქტივების ერთობლივ საკუთრებაც.

სრულუფლებიანმა მონაწილემ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს:

- (ა) თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში (შესაბამისი კლასების მიხედვით);
- (ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკუთარი ვალდებულება;
- (გ) თავისი წილი ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში;
- (დ) საკუთარი წილი ერთობლივი საქმიანობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში და გაღებულ ხარჯებში; და
- (ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გასწია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტის დაფუძნება, რომელშიც სრულუფლებიან მონაწილეებს შორის დადებული სახელშეკრულებით შეთანხმება აწესებს ერთობლივ კონტროლს ამ საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

სრულუფლებიანმა მონაწილემ ყველა ინვესტიცია უნდა აღრიცხოს შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთით:

- (ა) თვითღირებულების მოდელი;
- (ბ) წილობრივი მეთოდი; ან
- (გ) რეალური ღირებულების მოდელი.

თითოეული მოდელი ანალოგიურია მე-14 განყოფილებაში გამოყენებული მოდელებისა.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ინვესტიციების საბალანსო ღირებულება; და
- ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების აგრეგირებული სიდიდე;
- წილობრივი მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისათვის:
 - რეალური ღირებულება, თუ არსებობს კოტირებული ფასები.
 - თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოების მოგებაში ან ზარალში და შეწყვეტილ ოპერაციებში.
- რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხული ინვესტიციებისათვის:
 - ინფორმაცია 11.41–11.44 პუნქტების მიხედვით.
 - თუ იყენებს მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევით განპირობებულ გამონაკლის, უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი, მიზეზები და თვითღირებულების მოდელით აღრიცხული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებები.

შეღარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მსს ფასს-ში აღრიცხვა დამოკიდებულია ერთობლივი საქმიანობის ფორმაზე, გარდა ამისა ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოსთვის სამი მოდელიდან ხდება ერთის არჩევა და გამოიყენება ყველა ინვესტიციის მიმართ.
- სრული ფასს-ით თუ საწარმოს აქვს უფლებები აქტივებზე და მოვალეობები ვალდებულებებზე, იგი აღრიცხავს თავის წილ აქტივებსა და ვალდებულებებს, ხოლო თუ მას გააჩნია უფლებები წმინდა აქტივებზე, აღრიცხვისთვის იყენებს წილობრივ მეთოდს.